პროლეტარიელო ყველა ქვეყნისაგან შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO KOMITETA KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYAŠČIHSA GRUZINSKOJ SSR

გამოცემის 33-ე წელი

№ 205 (9365)

პარასკევი 29 აგვისტო 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივის

სოციალისტური ვალდებულებანი

უდიდესი აღმავლობითა და აღფრთოვანებით ჩაღდება ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება პარტიის მომავალი მორიგი XIX ყრილობის აღსანიშნავად.

საბჭოთა ადამიანები გამოთქვამენ ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისადმი მხურვალე სიყვარულის, ერთგულებისა და მადლობის გრძნობებს.

პროექტი საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დირექტივებისა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი მკაფიოდ მოწმობენ, რომ ჩვენი სახელოვანი საბჭოთა საშშობლო მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნისტური მშენებლობის ახალ გამარჯვებათა გზით.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი ზრდის, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების გეგმაა. ხუთწლიანი გეგმა ახალი ძალით ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე ჩვენი საბჭოთა წყობილების დიდ უპირატესობებს, საბჭოთა ხალხის მონოლითურ დარაზმულობას მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო.

აღფრთოვანებულნი ცნობით საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ, სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის კოლექტივის მაგალითისამებრ, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები პარტიის ყრილობის აღსანიშნავად კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

1. საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა შეასრულონ 25 სექტემბერს, გეგმის გადამეტებით შეაკეთონ 2 სამგზავრო და 16 იზოთერმული ვაგონი, გაუგზავნონ რკინიგზებს თუჯის სხმულის 160 ტონა სათადარიგო ნაწილები და მოძრავი შემადგენლობის 260 ერთეული გოგორწყვილი.

მიაღწიონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შემდგომ ამაღლებას და წუნით გამოწვეული დანაკარგის შემცირებას.

2. 9 თვეში დაზოგონ 100.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

სათადარიგო ნაწილებისა და მასალების უკეთ გამოყენების გზით შეამცირონ მიმდინარე წელს რიგითი ნაგლინის ხარჯვა ყოველ კაპიტალურად შეკეთებულ ორთქლმავალზე 200 კილოგრამით და ყოველ კაპიტალურად შეკეთებულ სამგზავრო ვაგონზე — 40 კილოგრამით. შეამცირონ ხე-ტყის მასალის ხარჯვა ყოველ შეკეთებულ იზოთერმულ ვაგონზე 1,5 კუბმეტრით.

3. 1,8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ გეგმა შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში. გეგმის გადამეტებით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება სექტემბერში 2 პროცენტის ოდენობით.

ვიღებთ რა ამ სოციალისტურ ვალდებულებებს, მოვუწოდებთ ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოთა ყველა კოლექტივს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად და ამით ახალი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეში.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

მიღებულია სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

გუშინ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მომავალი XIX ყრილობის აღსანიშნავად ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს ერთერთ უძველეს და მსხვილ საწარმოში — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. მისი მრავალრიცხოვანი კოლექტივი ახლა ერთი აზრით, ერთი სურვილით არის გამსჭვალული — ღირსეული საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნოს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა — მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა.

ამ დღეებში განსაკუთრებული საწარმოო აქტივობაა დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონე ქარხნის სამკროებში, საწარმოო უბნებზე, ბრიგადებში. მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები გულდასმით ეცნობიან პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს ყრილობისათვის, იღებენ ახალ ვალდებულებებს, დგებიან სტახანოვურ ვახტზე.

გუშინ სამუშაოს დამთავრების შემდეგ ქარხნის ეზოში თავი მოიყარა მთელმა კოლექტივმა.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. დაშნელმა.

ქარხნის კოლექტივმა განიხილა საკითხი: საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების მიერ სოციალისტური ვალდებულების აღების შესახებ.

ინფორმაციისათვის სიტყვა ეძლევა ქარხნის დირექტორს ამხ. დ. მამაცაშვილს.

— საბჭოთა ადამიანები, — ამბობს იგი, — რომლებიც გულდასმით ეცნობიან XIX ყრილობისათვის გამოქვეყნებულ მასალებს, იმსჭვალებიან კანონიერი სიამაყის გრძნობით, უდიდესი სიყვარულით თავიანთი სოციალისტური სამშობლოსადმი, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ამხანაგ სტალინისადმი.

ამხ. მამაცაშვილი ეხება მოსკოველი მეავტომობილეების თაოსნობას და ამბობს:

— საბჭოთა პატრიოტიზმის შთამაგონებელი მაგალითი გვიჩვენა სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის სახელოვანმა კოლექტივმა, რომელმაც XIX პარტყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაზრდილი საწარმოო ვალდებულებები იკისრა. ჩვენი ქარხნის სავაგონო და საორთქლმავალო საამქროების ათობით ბრიგადა და ასობით სტახანოველი უკვე დგას სტახანოვურ ვახტზე და ცდილობს ყრილობისათვის მზადება სასახელო შრომითი საქმეებით აღნიშნოს.

მოვეთათბირეთ რა საამქროთა ხელმძღვანელებს, სტახანოველებს, — განაგრძობს ამხ. მამაცაშვილი, — ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს ავტოქარხნელთა შესანიშნავ ინიციატივას და გადავწყვიტეთ ავიღოთ ახალი ვალდებულებები.

ტრიბუნაზეა სახელოვანი ჩქაროსანი ხარატი ილია ჭუმბურიძე, რომელმაც ყრილობის მასალების გაცნობის შემდეგ იკისრა ყოველდღიურად დავალება 350 პროცენტით გაანალოდოს, ძველი ვარგისი ლითონის გამოყენებით ყრილობის გახსნის დღისათვის დაზოგოს სამი ათასი მანეთი, ლითონის ჩქაროსნული ჭრა შეასწავლოს 6 ხარატს.

ამხ. ი. ჭუმბურიძე ლაპარაკობს იმ უდიდეს სიხარულზე, რომელიც გამოიწვია მექანიკური საამქროს მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს შორის პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევამ. იგი ამბობს, რომ უკანასკნელ დღეებში სტახანოვურ ვახტზე დგანან ზარიძე, მამაგეიშვილი, ვასილევი და რომ ისინი დღიურ დავალებებს სამმაგად ანაღდებენ.

მექანიკური საამქროს კოლექტივი, — ამბობს ჭუმბურიძე, — მთლიანად სტახანოვურ ვახტზე დგას. კვისრულობთ აგვისტოს და სექტემბრის გეგმა 108 პროცენტით შევასრულოთ, მასალების მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად გავწოოთ 12 ათასი მანეთის ეკონომია.

სიტყვას იღებს ორთქლმავალამწყობი საამქროს უფროსი გ. გრძელიშვილი. იგი ლაპარაკობს იმ წვლილზე, რომელიც უკვე შეიტანა მათმა საამქრომ მეხუთე ხუთწლედის ანგარიშში — მიმდინარე წლის 7 თვეში 4 პროცენტით შეამცირეს თვითღირებულება, რენტაბელურად მუშაობენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადები. — მაგრამ ჩვენ გვინდა, — განაცხადა ამხ. გრძელიშვილმა, —კიდევ უფრო სასიხარულო საწარმოო მაჩვენებლებით შევეგებოთ ყრილობას, გადავწყვიტეთ დავალების გადამეტებით სექტემბერში კაპიტალური რემონტიდან გამოვუშვათ ერთი ორთქლმავალი, 5 პროცენტით შევამციროთ თვითღირებულება, კიდევ უფრო გავზარდოთ ზეგეგმითი დაგროვება.

ჩვენ, — ამბობს სატვირთო-სავაგონო საამქროს ზეინკალთა ბრიგადის ბრიგადირი ამხ. გ. დათუაშვილი, — ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება შეგვიქმნა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ. ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას.

ჩვენი ქარხანა კომუნიზმის გენიალური ხელოვნებისა — დიდი სტალინის სახელს ატარებს. ეს მაღალი სახელი გვავალებს ღირსეული შრომითი მიღწევებით შეეხვდეთ ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობას.

გ. დათუაშვილი საამქროს სახელით პირობას აძლევს კრებას, რომ მომავალ თვეში გეგმის გადამეტებით შეკეთებიდან გამოუშვებენ 6 იზოთერმულ ვაგონს, 9 თვეში კი გეგმის გადამეტებით შეაკეთებენ სულ 14 ვაგონს, გააძლიერებენ ბრძოლას რემონტის ხარისხისა და მასალების ეკონომიისათვის, დაზოგავენ რამდენიმე კუბმეტრ ხეტყეს.

— პირადად მე, — თქვა ამხ. დათუაშვილმა, — ვკისრულობ 5 ოქტომბერს — ყრილობის გახსნის დღეს ორი წლის დავალების შესრულებით შევეგებო.

— საბჭოთა ადამიანებმა წარმატებით შეასრულეს მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა. მათ ზეიმით აღნიშნეს კომუნიზმის პირმშოს — ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნა. ისინი განაგრძობენ გრანდიოზული ელსადგურებისა და არხების მშენებლობას. მეხუთე ხუთწლედში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი ახალ გამარჯვებებს მოიპოვებს, კიდევ უფრო განამტკიცებს და გააძლიერებს სოციალისტურ სამშობლოს, — თქვა თავის გამოსვლაში საქვაბე საამქროს საწარმოო უბნის უფროსმა ი. სელიხოვმა.

ი. სელიხოვი აცხადებს, რომ მექვაბეებმა გადაწყვიტეს ყრილობის გახსნის დღისათვის დავალების გადამეტებით დაამზადონ ერთი ქვაბი. მათ განზრახული აქვთ ძველი ვარგისი ლითონის ნაწილების გამოყენებით მნიშვნელოვანი რაოდენობის ნედლეული დაუზოგონ ქარხანას, გააძლიერონ ბრძოლა წარმოების რაციონალიზაციისათვის.

მგზნებარე სიტყვას ამბობს მოწინავე სტახანოველი მჭედელი ვ. გამხუაშვილი.

— ვდგები სტახანოვურ ვახტზე და ყოველდღიურ დავალებას გავანაღდებ სამმაგად! — ამბობს იგი.

გამხუაშვილი ტრიბუნაზე შეცვალა სამგზავრო-სავაგონო საამქროს ბრიგადირმა პ. ბედნაშვილმა.

კრების მონაწილეები ერთსულოვნად იღებენ XIX პარტყრილობის აღსანიშნავად ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სოციალისტური ვალდებულების ტექსტს, რომელიც კრებას გააცნო ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ბ. ჩლაიძემ.

კრების მონაწილენი დაიშალნენ მტკიცე გადაწყვეტილებით — სწრაფად და მთლიანად შეასრულონ ნაკისრი საპატიო ვალდებულებანი, ღირსეული საწარმოო გამარჯვებით შეხვდნენ XIX პარტყრილობას.

პარტიის წევრის მაღალი სახელწოდება

„პრავდის“ 28/VIII მოწინავე

კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია, მთელი გმირული გზა წარმოადგენს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის საქმისათვის თავდადებული სამსახურის ნიმუშს. საბჭოთა ხალხს კომუნისტური პარტია მიაჩნის თავის ნაცად ხელმძღვანელად, ჩვენი ეპოქის გონებად, ღირსებად და სინდისად. კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების მაორგანიზებელი და წარმმართველი ძალაა, მისი პოლიტიკა საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს.

ლენინ-სტალინის პარტიამ, მოაწყო რა მუშათა კლასის და შშრომელი გლეხობის კავშირი, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად მიაღწია კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალაუფლების დამხობას, პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციას, კაპიტალიზმის ლიკვიდაციას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობას და უზრუნველყო სოციალისტური საზოგადოების აშენება.

„ამჟამად,—ნათქვამია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში, — **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის შშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველი ღონით განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან**“.

კომუნისტური პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს იმიტომ, რომ იგი მჭიდროდ დაკავშირებულია შშრომელთა მილიონიან მასებთან, შეკავშირებულია ნებისყოფის ერთიანობით, მოქმედების ერთიანობით, დისციპლინის ერთიანობით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის თანამოაზრეების-კომუნისტების ნებაყოფლობითი საბრძოლო კავშირი, ორგანიზებული მუშათა კლასის ადამიანებისაგან, შშრომელი გლეხებისა და შშრომელი ინტელიგენციისაგან.

პარტიის ორგანიზატორები და ბელადები ლენინი და სტალინი ყოველთვის უდიდეს ზრუნვას იჩენდნენ პარტიის განმტკიცებისათვის. „**ჩვენ უნდა ვცდილობდეთ,**—ამბობდა ვ. ი. ლენინი, — **ავიყვანოთ პარტიის წევრის სახელწოდება და მნიშვნელობა უფრო მაღლა, მაღლა და მაღლა...**“

კომუნისტები ჩვენი დროის მოწინავე ადამიანები არიან, რომლებიც მთელ თავიანთ ძალებს, ცოდნას, ენერგიას აბმარენ შშრომელთა ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეს. ყოველთვის და ყველგან ისინი გვიჩვენებენ სიმტკიცისა და მამაცობის მაგალითს სიძნელეთა გადალახვაში, დასახული მიზნის მიღწევაში.

„**ჩვენ, კომუნისტები,** — ამბობდა ამხანაგი სტალინი საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობაზე 1924 წლის იანვარში, — **განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შეადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი**“.

კომუნისტური საზოგადოების შშენებლობაში ჩვენი პარტიის წინაშე დასახული ახალი ამოცანები მოითხოვენ პარტიის სქმისათვის პარტიის წევრთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას. პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში განსაზღვრულია პარტიის წევრთა მოვალეობანი. პარტიულ ორგანიზაციებში დაწყებული განხილვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საყრილობო დოკუმენტებისა ცხადყოფს, რომ ფართო პარტიული მასები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის წევრთა მოვალეობასა და უფლებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში.

კომუნისტის უპირველესი მოვალეობაა, ხაზგასმით აღნიშნულია შეცვლილი წესდების პროექტში, ყოველმხრივ დაიცვას პარტიის ერთიანობა, როგორც პარტიის ძალისა და ძლიერების მთავარი პირობა. პარტიის წევრი უნდა იყოს აქტიური მებრძოლი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. კომუნისტისათვის საკმაო არ არის მარტო ის, რომ ეთანხმებოდეს პარტიულ გადაწყვეტილებებს. მისი ვალია აქტიურად იბრძოდეს ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კომუნისტების პასიური და ფორმალური დამოკიდებულება პარტიის გადაწყვეტილებებისადმი ასუსტებს პარტიის ბრძოლისუნარიანობას და ამიტომ შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან.

კომუნისტის მოვალეობაა—რა უბანზედაც უნდა იმყოფებოდეს იგი — ყოველთვის მაგალითს იძლეოდეს შრომაში, ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას, განუწყვეტლივ იმაღლებდეს საწარმოო კვალიფიკაციას. სამრეწველო საწარმოში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში — ყველგან, სადაც კომუნისტი იმყოფება, იგი უნდა გვიჩვენებდეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს, გამოდიოდეს ყოველივე იმ ახლის, მოწინავის ინიციატორად, წამომწყებად, პროპაგანდისტად, რაც აძლიერებს შემოქმედებითს ინიციატივას, ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განაღებას. კომუნისტი მოწოდებულია პირადი მაგალითით აღფრთოვანებდეს მასებს ახალი და ახალი შრომითი გმირობისათვის ჩვენი საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ.

პარტიის წევრის მაღალი სახელწოდება ავალებს კომუნისტს ყოველდღიურად განამტკიცებდეს კავშირს მასებთან, თავის დროზე ეხმაურებოდეს მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, განუმარტავდეს უპარტიო მასებს, პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა აზრს, ახსოვდეს, რომ ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა ხალხთან მისი სისხლხორცეული და განუყრელი კავშირია.

„**მასებთან კავშირი,** — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,— **ამ კავშირის განმტკიცება, მზად ყოფნა ომისათვის, რომ ყური დაუგდოს მასების ხმას,—აი რაშია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა**“.

მთელ თავის საქმიანობაში ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით. პარტია თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს, რომ იგი ბეჯიოად მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ამაღლებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლებისათვის.

იყო კომუნისტი—იმას ნიშნავს, რომ ყოველ საქმეში, დიდსა და მცირეში, იცავდე პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს, იცავდე პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, რომელიც ერთნაირად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. ჩვენს პარტიას აქვს ერთი დისციპლინა, ერთი კანონი ყველა კომუნისტისათვის, დამოუკიდებლად მათი დამსახურებისა და დაკავებული პოსტებისა. პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევა, როგორც ეს აღნიშნულია შეცვლილი წესდების პროექტში, შეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან.

კომუნისტის აუცილებელი თვისებაა მისი პატიოსნება და გულმართლობა პარტიის წინაშე. კომუნისტს უფლება არა აქვს დაუმალოს პარტიას საქმის ნამდვილი მდგომარეობა პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის ამა თუ იმ უბანზე, დაამახინჯოს სიმართლე. პარტია ვერ მოითმენს თავის რიგებში მატყუარებს, რადგან ასეთი ადამიანები ძირს უთხრიან პარტიისადმი ნდობას, მორალურად ხრწნიან კომუნისტების რიგებს.

პარტიამ შექმნა მრავალრიცხოვანი კადრები, რომელთაც უნარი შესწევთ პატიოსნად და კეთილსინდისიერად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის დირექტივები, რომელთაც ამ დირექტივების განხორციელება მიაჩნიათ არა უბრალო ფორმალობად, არამედ ღირსების საქმედ, პარტიის წინაშე თავიანთი უმაღლესი მოვალეობის საქმედ. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციაში დიდ ბოროტებას წარმოადგენს არასწორი მიდგომა კადრების შერჩევისადმი. პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი შეიცავს მოთხოვნას კომუნისტისადმი: პარტიის მიერ მინდობილ ყოველ პოსტზე განუხრელად ახორციელებდეს პარტიის მითითებებს კადრების სწორი შერჩევის შესახებ მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით. ამ მითითებათა დარღვევა, მუშაკების შერჩევა ძმაბიჭური ურთიერთობის, პირადი ერთგულების, თანასოფლელობისა და ნათესაობის პრინციპების მიხედვით შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან.

ჩვენი პარტიის ძალა ის არის, რომ მას არ ეშინია კრიტიკის და თავის ნაკლოვანებათა კრიტიკაში პოულობს ენერგიას შემდგომი წინსვლისათვის. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან კომუნისტები, რომლებიც დაუსრულებლად გაჰყვირიან პარტიისადმი თავის ერთგულებაზე, ხოლო საქმით გასაქანს არ აძლევენ კრიტიკას ქვემოდან, ახშობენ მას. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ საჭიროა ულმობელი ბრძოლა ვაწარმოოთ თვითკრიტიკის ჩახშობისა და დევნის ფაქტებთან.

პარტიის წევრი მოვალეა, ნათქვამია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში, ავითარებდეს თვითკრიტიკას და კრიტიკას ქვემოდან, ავლინებდეს ნაკლოვანებებს მუშაობაში და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოდეს პარადული კეთილდღეობისა და მუშაობაში წარმატებებით დატკბობის წინააღმდეგ. ვინც ახშობს კრიტიკას, ცვლის მას პარადულობითა და ხოტბის შესხმით, ის არ შეიძლება პარტიის რიგებში იმყოფებოდეს.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობაა კომუნისტების მაღალი პოლიტიკური სიფხიზლე, შეურიგებელი ბრძოლა მტრების ყველა და ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ. მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუქროთ იმას, რომ კომუნისტებს შორის საკმაოდ ფართოდ გავრცელდა პოლიტიკური უდარდელობისა და დოყლაპიობის გამოვლინებანი, პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების ფაქტები. პოლიტიკური სიფხიზლე სავალდებულოა ყოველი კომუნისტისათვის ყოველ უბანზე და ყოველგვარ ვითარებაში. პარტიის წევრი მოვალეა დაიცვას პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოება.

იმ მაღალ და პასუხსაგებ მოვალეობებთან ერთად, რომლებიც პარტიის წევრს ეკისრება, მას მინიჭებული აქვს დიდი უფლებებიც. პარტიის წევრს, ნათქვამია პარტიის წესდების პროექტში, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალ და საქმიან განხილვაში პარტიულ კრებებზე თუ პარტიულ პრესაში, გააკრიტიკოს პარტიულ კრებებზე პარტიის რომელიც უნდა იყოს მუშაკი, აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიულ ორგანოებში, მოითხოვოს პირადი მონაწილეობა ყველა შემთხვევაში, როცა გამოაქვთ გადაწყვეტილება მისი საქმიანობის თუ საქციელის შესახებ, მიმართოს ყოველგვარი შეკითხვით და განცხადებით რომელიც უნდა იყოს პარტიულ ინსტანციას, თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტამდე.

პარტიის XIX ყრილობისათვის მზადება ყველგან იქცევა მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი ჩვენი ხალხის სიყვარულისა და ერთგულების აღფრთოვანებულ დემონსტრაციად. საბჭოთა ადამიანები აცხადებენ, რომ მზად არიან ლენინ-სტალინის პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით მთელი ძალები მოახმარონ კომუნიზმის შშენებლობის დიად საქმეს.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კიევი, 27 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გაიმართა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა გადაწყვიტა მოწვეულ იქნას 1952 წლის 23 სექტემბერს უკრაინის კ. პ. (ბ) მორიგი XVII ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგი: უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. გ. მელნიკოვი; უკრაინის კ. პ. (ბ) სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ა. ი. დავიდოვი; უკრაინის კ. პ. (ბ) ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები; საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დელეგატების არჩევნები.

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ერევანი. (საკდესი). გაიმართა სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა დაადგინა მოწვეულ იქნას 1952 წლის 20 სექტემბერს სომხეთის კ. პ. (ბ) მორიგი XVI ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგი: სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. არუთინოვი; სომხეთის კ. პ. (ბ) სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ს. მ. საკიანი; სომხეთის კ. პ. (ბ) ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები; საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დელეგატების არჩევნები.

ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ტალინი. (საკდესი). აქ გაიმართა ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მოწვეულ იქნას 1952 წლის 16 სექტემბერს ესტონეთის კ. პ. (ბ) მორიგი VII ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგი: ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება; ესტონეთის კ. პ. (ბ) სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება; ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის არჩევნები; ესტონეთის კ. პ. (ბ) სარევიზიო კომისიის არჩევნები; საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დელეგატების არჩევნები.

ფართოდ გავაჩაღოთ პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას.

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტიდან.

ქუთაისელ მევატომობილეთა სიტყვა

ქუთაისი. („კომუნისტის“ კორ.). საავტომობილო ქარხნის კოლექტივი მძლავრი შრომითი აღმავლობით შეხვდა ცნობას საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. მეავტომობილეები ჩაებნენ ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადიდებული ვალდებულებები აკისრეს.

— საბჭოთა ადამიანები, — განაცხადა სტახანოველმა ამხ. ტ. დუნდუამ, — ძალღონის დაუზოგავად შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. პარტიის XIX ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ვდგები სტახანოვურ ვახტზე და ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური გეგმა 200-220 პროცენტით გავანაღდო.

— დიდი სიხარულით შევხვდი ცნობას პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ, — თქვა ზეინკლმა გ. ბართიამ, — ჩემი ახალი ვალდებულებაა ყოველთვიური გეგმა ორმაგად შევასრულო.

ქარხნის საამქროებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად. შეჯიბრებაში დაწინაურდა სატვიფრო-მექანიკური საამქრო (უფროსი ო. ბოჭოიძე), რომელმაც 8 თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით აღანაღდა.

ახალი წარმატებებით შევხვდეთ ისტორიულ დღეს

ვაგონშემკეთებელი სახელოსნოს წინააღაციების ჩრდილქვეშ შეკრებილ მუშებს ესაუბრებოდა აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. გ. დავიდოვი.

პარტიის მორიგი XIX ყრილობის მოწვევა და ამ ყრილობის დირექტივები ახალი მეხუთე ხუთწლედის შესახებ, — ამბობდა იგი, — ჩვენი სამშობლოს განვითარების ახალი ისტორიული საფეხურია, მშვიდობისაკენ ჩვენი ხალხის განუხრელი მისწრაფების კიდევ ერთი დადასტურებაა.

— ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივი, — განაგრძო შემდეგ ამხ. დავიდოვმა, — ახალი საწარმოო გამარჯვებებით უნდა შეხვდეს ყრილობის გახსნის შესანიშნავ დღეს, ღირსეულად გაანაღოს საბჭოთა მთავრობის მიერ მის წინაშე დასმული ამოცანები.

— ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად, — განაცხადა სტახანოველმა ხარატმა ამხ. ლ. გოჩელეიშვილმა, — ვალდებულებას ვიღებ გეგმის გადამეტებით გამოვჩარხო 4 გოგორწყვილი. ენერგიას არ დავიშურებ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის, იმისათვის, რომ შემდგომ განმტკიცდეს უძლეველი და მშვიდობის მოყვარული ჩვენი ქვეყანა.

ამწყობი ბრიგადის სახელით ბრიგადირმა გ. ტურკინმა ვალდებულება აიღო საშუალო პერიოდული შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვას ერთი ვაგონი, ყოველდღიური საწარმოო დავალება გააანაღოს 120 პროცენტით, ხოლო სტახანოველმა ზეინკალმა ი. ფოცხვერაშვილმა ითავა პარტიის XIX ყრილობის დღისათვის გეგმის გადამეტებით 15 დიდი კბილანისა და სამუხრუჭო ბადროს გაკეთება.

ახალი სოციალისტური ვალდებულებები აიღეს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სხვა საამქროებშიც.

სალიანდაგო სამსახურის საილრე საამქროს სტახანოველმა ზეინკლებმა ა. ნერგაძემ და ვ. ერშოვმა იკისრეს ყრილობის მოწვევის დღისათვის დაამზადონ 4 ცალი „ფენიქს-1 ა“ ტიპის ისარი და 5 გადასასვლელი რელსი.

ავტოგარაჟის სტახანოველმა ხარატმა კომუნისტმა ვ. ცხვარაშვილმა პირობა დადო ოქტომბრამდე გეგმის გადამეტებით გამოჩარხოს 50 ცალი დეტალი.

— ჩემს ცხოვრებაში, — თქვა ამხ. ცხვარაშვილმა, — ეს დღე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. სიხარულით და სიამაყით გავსებია გული, როცა ხედავ, როგორ იზრდება და იფურჩქნება ჩვენი ქვეყანა, როგორ ესმება ხოცი ხალხის ოცნებას, რა მტკიცედ მივყავართ წინ, მუდამ ახალი და ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენს საყვარელ ბელადს დიდ სტალინს.

—⊙—

მონინავე საოსტატო

სალიანდაგო დისტანციის აბაშის მეხუთე საოსტატოში გაჩაღდა XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ლიანდაგის მიმდინარე გეგმიანი შეკეთების 7 თვის გეგმა შესრულებულია 147 პროცენტით, მრუდეების გამაგრებისა — 102 პროცენტით.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელა ლიანდაგის შემკეთებელთა დ. ფანცულაიას ბრიგადამ. მელიანდაგეები მ. კოლასონია, ნ. ლასარეიშვილი, მ. საბაშვილი და სხვები ფართოდ იყენებენ მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებას. მათი სალიანდაგო უბანი სანმეუშო მდგომარეობაშია.

მატარებლის უსაშიშრო მოძრაობისთვის თავდადებით მუშაობენ ლიანდაგის შემომვლელები ს. კიზირია, კ. ჩიქობავა, ა. ფრანგიშვილი, კ. ჩაჩავა, ვ. გაბელაია და სხვები.

ი. ბუხაიძე.

პარტიის ყრილობის სახელობისა

ის იყო უფროსი მემანქანე გაიოზ ბერუაშვილი მორიგი რეისიდან დაბრუნდა, რომ უხმეს, პარტბიუროში საუბარია, დაესწარით. პარტბიუროს მდივანს მ. დოლიძეს საუბარი უკვე დაეწყო. რკინიგზელები, ექსპლოატაციის დარგის მუშაკები დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ მას.

—ახალ ხუთწლედში გასულ ხუთწლედთან შედარებით ელექტროფიცირებული რკინიგზების რაოდენობა ერთიოთხად გადიდდება!—ამბობდა ამხ. დოლიძე.

მელემავლეები ყურადღებით უსმენდნენ მოსაუბრეს. თვითეული მათგანი სწონიდა საკუთარ შესაძლებლობებს, ანგარიშობდა რით აღენიშნა მშობლიური პარტიის XIX ყრილობა.

საუბარი სახელდახელო მიტინგად იქცა, ყველა კონკრეტულ ვალდებულებას იღებდა.

— ელმავლის ლუნინური მოვლით დავზოგავთ 1.000 მანეთს, 2 კილომეტრით გავზრდით ტექნიკურ სიჩქარეს, ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ჩვენმა ლოკომოტივმა სანიმუშო ელმავლის წოდება მოიპოვოს, — თქვა უფროსმა მემანქანემ გ. ჩიტაიშვილმა.

სიტყვა მემანქანე-ინსტრუქტორმა პავლე ნოზაძემ აიღო.

— მივაღწევ, რომ მელემავლეთა ბრიგადებმა, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობ, უწუნოდ იმუშაონ. მოვამზადებ ერთ მემანქანეს.

ნოზაძე მისმა კოლეგამ ა. ვაშაკიძემ შეცვალა.—5 ოქტომბრამდე მელემავლეთა ბრიგადებით 25 მძიმე წონის მატარებელს გავატარებთ, — განაცხადა მან.

— ყრილობის გახსნის დღისათვის,— ამბობს უფროსი მემანქანე კომუნისტი ს. გოგოლაძე, — ჩვენი ბრიგადა მძიმე წონის 24 შემადგენლობას გადაიყვანს.

მოტორვაგონების სექციის საამქროს უფროსი მემანქანე ლ. ჯოჯუა პირობას იძლევა, რომ დაზოგავს საწვავის 20 პროცენტს, სანიმუშოდ მოუვლის ელექტრომავალს, კულტურულად მოემსახურება მგზავრებს.

გულდასმით უსმენს მემანქანე გაიოზ ბერუაშვილი ამხანაგების გამოსვლებს. იგი ჯერ სატვირთო მატარებლებზე მუშაობდა, სადაც თავი ისახელა როგორც მძიმე წონის მატარებლის ტარების ოსტატმა, შემდეგ საელმავლო დეპოს ადმინისტრაციამ მაღალი კლასის სამუშაოზე გადაიყვანა — ახლა სამგზავრო მატარებლები დაჰყავს.

ჯერი მასზე მიდგა.

— ჩვენი ბრიგადა კისრულობს,—მოკლედ და მკაფიოდ ამბობს გაიოზი,—გავწიოთ 4 ათასი მანეთის ეკონომია, 5 ოქტომბრამდე გავაკეთოთ მძიმე წონის მატარებლის 15 რეისი, სანიმუშოდ მოვუაროთ ელექტრომავალს.

მოწინავე მელემავლეებმა, რომელთა შორის იყო გაიოზ ბერუაშვილიც, წინადადება წამოაყენეს — შეიქმნას პარტიის XIX ყრილობის სახელობის ელექტრომავლების კოლონა. კოლონაში შევა 6 ელექტრომავალი. მელემავლეებმა იკისრეს: თვითეულმა ბრიგადამ გადაიყვანოს სულ ცოტა 15 მძიმე წონის მატარებელი, გადაიტანოს 5 ათასი ტონა ზეგეგმითი ტვირთი, თვითეულ ელექტრომავალზე დაზოგოს 1.000 მანეთი, გრაფიკზე 25 წუთით ადრე ჩამოაყენოს თბილისის სადგურზე შემადგენლობები. მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოძრაობის დარგის დისპეტჩერები და თბილისის სატვირთო სადგურის მუშაკები.

ამ პატრიოტულმა თაოსნობამ დეპოს დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა.

ეს იყო 21 აგვისტოს. ახლა კი ამიერკავკასიის რკინიგზაზე სწრაფად დაქროლებენ მძიმე წონის მატარებლებს პარტიის XIX ყრილობის სახელობის კოლონის მელემავლეები.

თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანეებმა 21-დან 25 აგვისტომდე გადაიყვანეს მძიმე წონის რამდენიმე ათეული მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადაზიდეს ათასობით ტონა ტვირთი, აქედან ნახევარზე მეტი — ახალშექმნილი კოლონის მელემავლეებმა.

პარტიის XIX ყრილობის სახელობის კოლონის ყველა მელემავლე სანიმუშოდ მუშაობს. უკანასკნელ დღეებში პ. არევაძის ანგარიშზეა ორი მძიმე წონის შემადგენლობა გეგმის გადამეტებით გადატანილი 944 ტონა ტვირთით. ს. გოგოლაძემ უკვე სამი ასეთი რეისი მოასწრო და ნორმით გათვალისწინებულთან შედარებით ასობით ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდა. უფრო უკეთეს შედეგს მიაღწია გ. ბოგვერაძის ბრიგადამ, რომელმაც 2.700 ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაიტანა.

საელმავლო დეპოში გაცხოველებული მუშაობაა, XIX პარტყრილობის სახელობის კოლონა უფრო მეტი წარმატებებისათვის იბრძვის.

ს. ხარაზიშვილი.

ჩვენი ვალდებულებანი

შორაპნის დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის კოლექტივი დიდი ინტერესით გაეცნო პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტს. მტვირთავებმა აიღეს ახალი გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი.

— საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას შევხვდეთ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით! — განაცხადა მტვირთავთა ბრიგადის ბრიგადირმა ვ. კვინიკაძემ, — ჩვენი ბრიგადის საბრძოლო ამოცანაა სექტემბერში გეგმის გადამეტებით გადავტვირთოთ 3.000 ტონა მარგანეცი.

შორაპნელი მტვირთავები მტკიცე პირობას იძლევიან, რომ პირნათლად შეასრულებენ ჩვენი პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

ლ. ძლიგაძე,
შორაპნის დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის უფროსი.

კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შრომითი საჩუქრები

სილნაღი. (საკ. კორ.). კოლმეურნეები, მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. კოლმეურნეობებში, ბრიგადებში ეცნობიან ყრილობის დირექტივების პროექტს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილ წესდების ტექსტის პროექტს. ამ ისტორიულმა დოკუმენტებმა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. კოლმეურნეები და მექანიზატორები ვალდებულებას იღებენ წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის ბარაქიან მოსავალს.

სოფელ ბოდბისხევის კაკანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ტუხაშვილმა ყრილობის მასალების გაცნობისას თქვა:

— ყოველ ნაბიჯზე ჩვენ ვგრძნობთ პარტიის მზრუნველობას. შირაქის მინდვრებზე მუშაობს პირველხარისხოვანი ტექნიკა, რაც დიდად ამსუბუქებს კოლმეურნეთა შრომას. მექანიზატორთა დახმარებით წელს კარგი მოსავალი მოვიყვანეთ. 2.300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 17 ცენტნერი პური მივიღეთ. ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულია ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლება. ამ გეგმის განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას. XIX ყრილობა შეაჯამებს ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა ხალხის მიერ გაწეულ უდიდეს მუშაობას კომუნისტური მშენებლობის საქმეში და დაუვისახავს კომუნიზმისაკენ შემდგომი წარმატებითი წინსვლის გზებს.

ბრიგადირი ი. გელაშვილი ჩაება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა მოკლე ვადაში და მაღალხარისხოვნად ჩაატაროს საშემოდგომო თესვა, ჰექტარზე მოიყვანოს სულ მცირე 25-28 ცენტნერი ხორბალი.

— პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ,—განაცხადა ყრილობის მასალების კითხვის დროს ალაზნის მტს-ის წარჩინებულმა კომბაინერმა ამხ. მიხეილ ლაზარიაშვილმა, ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომ ზრდას და მტს-ების მანქანების წარმადობის ამაღლებას. პარტიის XIX ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით გამოცემული დოკუმენტები ასახავენ იმ დიდ გამარჯვებას, რაც საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა კომუნიზმისათვის ბრძოლაში. უფრო მეტი ენერგიით უნდა ვიმუშაოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მე წელს მოსავალი ავიღე 600-ზე მეტ ჰექტარზე. დაიწყო პასუხსაგები მუშაობის მეორე საფეხური — საშემოდგომო თესვისათვის მზადება. ახლა ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა სოფელ ქვემომარხაანის კოლმეურნეობის ფართობებში მუშაობს საშემოდგომო ხვნაზე.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა სტახანოვურ ვახტზე დადგა და ვალდებულება იკისრა ყრილობის გახსნის დღისათვის — 5 ოქტომბრისათვის მთლიანად შეასრულოს საშემოდგომო თესვის გეგმა.

გადიდებული ვალდებულება იკისრა ტიბაანის მტს-ის წარჩინებულმა ტრაქტორისტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ელენე ნატროშვილმა.

მძლავრი საწარმოო აქტივობა

ოჩამჩირე. (ჩვენი კორ.). რაიონის მშრომელებში მძლავრი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია ცნობამ მშობლიური ბოლშევიკური პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. მუშები და კოლმეურნეები გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

ოჩამჩირის საორთქლმავლო დეპოში, სადაც ფართოდ არის დანერგილი შრომის ნოვატორული მეთოდები, მეორთქლმავლეები გულდასმით გაეცნენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტს, გადაწყვიტეს დადგნენ ყრილობისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე და ახალი გამარჯვებებით აღნიშნონ ყრილობის გახსნის დღე. მძიმე წონის მატარებლის ტარების ოსტატმა ლუნინელმა მემანქანემ ამხ. დ. ბაკურაძემ განაცხადა:

— ჩვენს დეპოში ყველა მემანქანეს მძიმე წონის მატარებელი დაჰყავს. პირადად მე დღემდე 20 მძიმე წონის მატარებელი გადავიყვანე და დიდძალი ზეგეგმითი ტვირთი გადავზიდე, დავზოგე საწვავი. პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად პირობას ვიძლევი სექტემბერში გადავიყვანო 10 მძიმე წონის მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადავზიდო 10 ათასი ტონა ტვირთი.

ამჟამად დეპოს ყველა მემანქანე სტახანოვურ ვახტზე დგას და თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს ტვირთზიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში.

დიდი შრომითი აღმავლობაა რაიონის კოლმეურნეობებშიც. სოფელ ჭალის სტალინის სახელობის, სოფელ მეორე ათარის მიქოიანის სახელობის, სოფელ ჭილოუს ვოროშილოვის სახელობისა და რაიონის სხვა კოლმეურნეობათა წევრებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს თამბაქოს, ჩაისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად.

ᲓᲐᲛᲗᲮᲔᲚᲓᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

დუშეთი. (საკ. კორ.). როცა ყრილობის მოწვევის სასიხარულო ამბავი შეიტყეს, დუშეთის რაიონის მტს-ის ტრაქტორისტებმა და სხვა მუშაკებმა გადაწყვიტეს სტახანოვურ ვახტზე დადგნენ, რათა ახალი შრომითი წარმატება მოიპოვონ. მათ ვალდებულება იკისრეს საშემოდგომო ხვნა-თესვა დაამთავრონ ვადაზე ადრე, გეგმის გადამეტებით დათესონ პური. ნაცვლად 100 ჰექტარისა ითვისონ 200 ჰექტარი ახალი მიწა. გეგმის გარეშე თიბა აიღონ 2 ათას ჰექტარზე, სრული სიმძლავრით გამოიყენონ თვითეული ტრაქტორი და კომბაინი, დაზოგონ საწვავი და შეამცირონ სამუშაოთა თვითღირებულება.

მოწინავე კომბაინერებმა ა. ნათელაშვილმა, ხ. ყორბესაშვილმა და ნ. მთვარელიშვილმა უკვე შეასრულეს მოსავლის აღების გეგმები და ვალდებულება იკისრეს დამატებით ას-ას ჰექტარზე აიღონ მოსავალი.

ყრილობის მასალების გაცნობის შემდეგ ტრაქტორისტმა ი. ჩანადირმა თქვა:

— ბოლშევიკური პარტია, ჩვენი მამა და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ხალხის კეთილდღეობისათვის. საბჭოთა ადამიანები არ დაიშურებენ ენერგიას ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ვალდებულებას ვკისრულობ საშემოდგომო ხვნის გეგმა ყრილობის გახსნის დღის—5 ოქტომბრისათვის 120 პროცენტით შევასრულო.

ასეთივე ვალდებულებები იკისრეს ტრაქტორისტებმა პ. ცილიკიშვილმა, ა. მაყაშვილმა და სხვებმა.

დიდი პოლიტიკური აღმავლობაა რაიონის მაღალმთიან სოფლებში. საზაფხულო საძოვრებზე მყოფი მწყემსები და მწველავები სიხარულით ეცნობიან ყრილობის მასალებს. გუდამაყრის კოლმეურნეობის ფერმის ძროხების მწველავმა მ. წიკლაურმა, რდმელმაც რძის მიღების მიმდინარე წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, განაცხადა:

— ახალ ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობა შრომის პირობების გაუმჯობესებას, კერძოდ, ნოღაის საძოვრების კეთილმოწყობას. ნოღაის ველზე ყოველწლიურად იზამთრებს ჩვენი რაიონის კოლმეურნეობათა ცხვარი.

ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად მეცხოველეებმა პირობა დადეს საუკეთესოდ მოემზადონ პირუტყვის გამოზამთრებისათვის, კარგად ჩაატარონ ცხვრის საზამთრო საძოვრებზე გადარეკვა, მისცენ სამშობლოს მეტი ყველი, ერბო, ხორცი და მატყლი.

—⊙—

პაგრიოტული აღმავლობით

თელავი (საკ. კორ.). წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები დიდი ინტერესით ეცნობიან პარტიის XIX ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით გამოცემულ დოკუმენტებს და იღებენ ახალ საწარმოო ვალდებულებებს.

აგროუბნის უფროსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ლ. არსენაშვილმა განაცხადა:

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ახალ აღმავლობას. ჩვენს წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა—მივცეთ საბჭოთა სამშობლოს მეტი ყურძენი. ახლოვდება რთველი. ჩვენი უბანი ებმება ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულებას ვკისრულობთ ყურძნის მოსავალი ავიღოთ უდანაკარგოდ, წლიური გეგმის გადამეტებით საბჭოთა სახელმწიფოს ჩავაბაროთ 1.040 ცენტნერი ყურძენი.

ამხ. ა. ვეფხიშვილმა, რომელიც 20 წელია წინანდლის ღვინის სარდაფში მუშაობს, თქვა:

— ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება საამურია. პარტიის XIX ყრილობა ახალ სიხარულს მოგვიტანს. სულით და გულით მადლობას ვუძღვნით დიდ სტალინს ჩვენზე დაუღალავი მზრუნველობისათვის. ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო ძლიერს, უფრო მდიდარს გახდის.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს მეღვინემ ამხ. მ. ტაბახმელაშვილმა, ინჟინერ-მექანიზატორმა ამხ. გ. ანდრიაშვილმა, აგროუბნის უფროსმა ამხ. გ. გვარჯალაძემ, მეკასრე ამხ. გ. მაისურაძემ.

მთავარმა აგრონომმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ი. ბოლქვაძემ თქვა:

— პარტიის XIX ყრილობა უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ყრილობის აღსანიშნავად მეურნეობის მუშები და სპეციალისტები ახალ კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ. ჩვენი ვალია ვიმუშაოთ დაფღალავად, მაღალნაყოფიერად, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას მევენახეობის განვითარებისათვის ვუპასუხოთ ახალი შრომითი აღმავლობით.

მეურნეობის კოლექტივმა იკისრა წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 5.000 ცენტნერი ყურძენი და გააშენოს 100 ჰექტარი ახალი ვენახი.

მეჯი და მაღალხარისხოვანი ფეხსაცმელი მოსახლეობას

„უზრუნველყოფილ იქნას მასობრივი მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის შემდგომი გაუმჯობესება...“ — ნათქვამია პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტში მეხუთე ხუთწლედის შესახებ. ითვალისწინებენ რა ამ ამოცანას, ყრილობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ისტორიული დოკუმენტების გაცნობისას ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის აგიტატორები გეგმების შესრულებასთან ერთად განსაკუთრებით ამახვილებენ მუშების ყურადღებას პროდუქციის ხარისხის განუხრელ ამაღლებაზე.

საამქროებმა, ბრიგადებმა, ცალკეულმა მუშებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად. მასობრივი შეკერვის საამქროს ბრიგადირმა ნ. აბულაძემ ვალდებულება აიღო ყოველდღიური დავალება ორმაგად გაანაღდოს, დაამზადოს მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია. სტახანოველი ბრიგადირი ღირსეულად ასრულებს ამ ვალდებულებას: მან 21 აგვისტოს პირველხარისხოვანი პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული 77 პროცენტის ნაცვლად დაამზადა 96,5 პროცენტის, 22 აგვისტოს — 97,5 პროცენტის, ხოლო 23 აგვისტოს — 99,1 პროცენტის ოდენობით.

იმავე საამქროს ბრიგადირმა თ. აბრამიძემ, რომელმაც საწარმოო გეგმის 180 პროცენტით შესრულება იკისრა, 23 აგვისტოს ფეხსაცმლის ყველა ოპერაცია მაღალხარისხოვნად შეასრულა.

კარგი მაჩვენებლები მოიპოვა საძირე დეტალების სატვიფრე საამქროს კოლექტივმა. იგი ამ დღეებში დავალებს 125-130 პროცენტით ანაღდებს და ამავე დროს წინანდელთან შედარებით 11 პროცენტით მეტ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევა.

ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ჩვენთან სერიოზული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები განხორციელდა. საპირის გამომჭრელ საამქროში წინათ გეგმას ხარისხის მხრივ ვერ ასრულებდნენ, ამჟამად კი საამქროში გადაჭარბებით ანაღდებენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების დავალებას.

საწარმოო კვალიფიკაციის დონე დიდ გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. ჩვენ საკმაო ყურადღებას ვუთმობთ კადრების ტექნიკურ სწავლებას, მათს პროფესიულ დაოსტატებას. მართო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა სახის წრეებში ასამდე მუშა მეცადინეობდა.

წელს აპრილიდან შეიცვალა ფეხსაცმლის კერვის სტანდარტი, რის გამო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის შევქმენით სპეციალური წრე, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები, საამქროებისა და ცვლის უფროსები. წრეს ხელმძღვანელობდა კომბინატის მთავარი ინჟინერი ამხ. ნ. ბაბასიანი, რომელმაც მსმენელებს დაწვრილებით შეასწავლა ახალი სტანდარტის მიხედვით ფეხსაცმლის კერვის წესები.

მაგარი და ლამაზი ფეხსაცმლის დამზადებაში დიდად გვეხმარება ნოვატორთა გამოცდილება. სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ჩუტკიხის პატრიოტული ინიციატივით ხარისხის გაუმჯობესებისათვის დაწყებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა კომბინატში. ქუთაისელი მეფეხსაცმლეები ნაყოფიერად იყენებენ ლიუბლინოელი სტახანოველების ა. ქანდაროვასა და ო. აგაფონოვას მეთოდს და თვითეულ საწარმოო ოპერაციას მაღალხარისხოვნად ასრულებენ. ა. ჩუტკიხის მაგალითისამებრ კომბინატის 25 ბრიგადა იბრძვის საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის სატიტო წოდების მოსაპოვებლად. არა გვყავს ისეთი ბრიგადა, რომელიც ხარისხის დავალებას ვერ ასრულებდეს. კარგი მაჩვენებლები აქვთ შეჯიბრებაში დაწინაურებულ მეფეხსაცმლეთა ვ. ფანცხავას, ს. ნუცუბიძის, ე. შენგელიას, ქ. გურეშიძის, ნ. გაგუას, ვ. აფხაიძის, დ. ქარსანიძის, ნ. ახალაძის ბრიგადებს. ისინი ყველა მაჩვენებლის მიხედვით დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ დავალებებს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მაღალი საწარმოო წარმატებების მოპოვებისათვის სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ბრძანებით საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის სატიტო წოდება მიენიჭათ და ქების სიგელები და ფულადი პრემიები გადაეცათ რანტის მომკერებელთა ნ. აბულაძის, ფეხსაცმლის გამომყვანთა თ. აბრამიძისა და რანტის შემკერავთა ვ. იობიძის ბრიგადებს.

კომბინატის კოლექტივმა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების 7 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. პირველი ხარისხის პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული 76,9 პროცენტის ნაცვლად გამოშვებულია 77,4 პროცენტი, ამასთან დაცულია ასორტიმენტის ყველა სახე. საერთო პროდუქციის 7 თვის გეგმა განხორციელებულია შვიდი პროცენტის გადაჭარბებით.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, კომბინატის მუშაობაში ბევრი ნაკლია. ზოგიერთი ტექნოლოგიური ოპერაციის არასწორად შესრულების გამო ჯერ კიდევ არის მაღალი ხარისხიდან დაბალში გადაყვანის შემთხვევები. მაგალითად, მიმდინარე წლის 7 თვეში გამსაღებელმა ბაზებმა პირველი ხარისხიდან მეორეში გადაიყვანეს 1.218 წყვილი ფეხსაცმელი.

ჩვენი არაერთგზისი მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მომარაგების სამმართველო საპირის გადამჭიმავი მანქანისათვის სისტემატურად დაბალხარისხოვან ლურსმანს გვიგზავნის, სრულიად არ გვაწვდის ძირის შემომჭრელი „ფრეზერის“ მანქანის დანებს, და თუ მივიღეთ, მაშინაც საჭირო ნომრისა არასოდეს არ არის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. დანების უვარგისობის გამო კომბინატის ტექნიკური კონტროლის განყოფილებამ ივლისსა და აგვისტოში ხელმეორედ შემოჭრისათვის საამქროს 1.500 წყვილი ფეხსაცმელი დაუბრუნა.

საჭიროა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მომარაგების სამმართველომ გაითვალისწინოს ეს გარემოება და კომბინატი მომარაგოს ნედლეულითა და დამხმარე მასალებით, ხელი შეუწყოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ქუთაისელი მეფეხსაცმლეები სულ უფრო და უფრო აფართოებენ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას. ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის კიდევ უფრო დაგრაზმავთ მთელ კოლექტივს, აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს, გადაჭრით გავაუმჯობესებთ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, მივაღწევთ იმას, რომ ქუთაისური ფეხსაცმელი მომხმარებელთა მაღალ შეფასებას იმსახურებდეს.

გ. დალაქიშვილი,
ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის დირექტორი.

ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

დელეგაციებმა დაგმეს ხელმძღვანელობის მანკიერი სტილი

ჭიათურის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის მეშვიდე კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პ. პეტრიაშვილმა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერმა სტილმა, უხეშმა შეცდომებმა და ჩავარდნებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საქალაქო კომიტეტის მუშაობაზე, მარგანეცის ქალაქის საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაზე.

მართალია, მარგანეცის ტრესტი მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმას ასრულებს, მაგრამ შესრულების ამ საერთო მაჩვენებლებს უკან სერიოზული ნაკლოვანებები იფარება. არადამაკმაყოფილებლად სრულდება პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმები, არ ზრუნავენ ახალი ტექნიკის გამოყენება-ათვისებისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის. სათანადო ყურადღება არ ექცევა წარმოების ნოვატორთა გამოცდილების დანერგვა-გავრცელებას. განსაკუთრებით დაბალია მშენებლობის ტემპი და ხარისხი, ნაკლებად ზრუნავენ ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

ყველაფერი ეს იმით იყო გამოწვეული, რომ საქალაქო კომიტეტი და პირველ რიგში მისი მდივნები ამხ. პ. პეტრიაშვილი და შ. გველესიანი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ იდეოლოგიურ, პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას, ბოლშევიკური პირდაპირობით არ იბრძოდნენ ნაკლოვანებათა და შეცდომათა აღმოსაფხვრელად, იჩენდნენ ლიბერალიზმსა და უპრინციპობას მუშაობაში. ეს ითქმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხვა წევრებზეც, რომლებიც ურიგდებოდნენ ნაკლოვანებებს.

საქალაქო კომიტეტის ბიუროს გამოჰქონდა დადგენილებები, მაგრამ ბევრი მათგანი შეუსრულებელი დარჩა. საქალაქო კომიტეტი ფართო გასაქანს არ აძლევდა ბოლშევიკურ კრიტიკას და თვითკრიტიკას, ადგა ურთიერთმაამებლობის მცდარ გზას. საქალაქო კომიტეტი დუმილით შეხვდა პრესის სიგნალებს: „ორიოდე სიტყვა ზოგიერთთა მორალზე“ და „ვებრძოლოთ ხელგაშლილობას, მაამებლობას და შინაურულ განწყობილებას“, სადაც მხილებული იყო ვ. შათირიშვილის, ა. ცქიტიშვილის, ი. ჩაჩანიძის და სხვათა დანაშაულობანი.

საქალაქო კომიტეტი ზოგჯერ კადრებს არჩევდა არა საქმიანი და პოლიტიკური ნიშნით, არამედ ნაცნობ-მეგობრობის მიხედვით. თვით საქალაქო კომიტეტის მდივნის პ. პეტრიაშვილის რეკომენდაციით ჭიათურაში საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგედ მოიწვიეს მ. რობაქიძე, საქვაბრობის ჭიათურის განყოფილების მმართველად ი. ჩაჩანიძე. მათ სერიოზული ზიანი მიაყენეს საქმეს, მაგრამ დაუსჯელი რჩებოდნენ. ასევე ითქმის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსის ა. ცქიტიშვილის შესახებ. ამხ. პეტრიაშვილმა კონფერენციაზე ცნო თავისი შეცდომები კადრების მეგობრული პრინციპით შერჩევასა და ზოგიერთი დამნაშავის მიმართ ლიბერალურ დამოკიდებულებაში.

კამათში გამოსულმა საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა შ. გველესიანმა აღიარა თავისი შეცდომები, თქვა, რომ იჩენდა თავდაუჭერლობას, უპრინციპობას და პარტიული მუშაკისათვის შეუფერებელ საქციელს.

მარგანეცის ტრესტის მმართველმა შ. შეყლაშვილმა და მთავარმა ინჟინერმა დ. გელაშვილმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ახალი ტექნიკის ათვისებას. სრული დატვირთვით არ მუშაობენ მექანიზმები, ბევრია გასაკეთებელი სამთო უსაფრთხოების წესების დაცვისათვის.

ამხ. ვ. ლომიძემ, დ. მეტონიძემ, ა. ჯაოშვილმა გააკრიტიკეს საქალაქო კომიტეტის, ქალაქის საბჭოს აღმასკომის და მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელთა მუშაობის მანკიერი სტილი, აღნიშნეს, რომ ეს ხელმძღვანელები არ უსმენდნენ ქვევიდან მომდინარე კრიტიკას, რიგითი მუშაკების ხმას. იყო შემთხვევები, როცა ნაკლოვანებათა მხილებისათვის მუშაკები დევნას განიცდიდნენ.

გ. ყიფშიძემ და ბ. მაზათაძემ აღნიშნეს, რომ საქალაქო კომიტეტი სუსტად იბრძვის მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის. ვ. შუკაკიძემ და ვ. თაბაგარმა ილაპარაკეს იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებებზე.

კონფერენციაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ საქალაქო კომიტეტთან ერთად პროკურატურისა და მილიციის ორგანოები სუსტად იბრძოდნენ სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ.

კონფერენციის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. მოდებაძის გამოსვლამ. მას არაფერი უთქვამს თავის შეცდომებზე.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 19 ამხანაგმა.

კონფერენციამ საქალაქო კომიტეტის მუშაობა ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად, აირჩია საქალაქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, ქუთაისის საოლქო კონფერენციის დელეგატები და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა ხალხთა ბრძენ ბელადს დიდ სტალინს.

მისალმება გაეგზავნა ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ლ. პ. ბერიას.

* * *

შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. მეცხოვრიშვილი, მეორე მდივნად—ამხ. მ. ლაბაძე, ხოლო მდივნად—ამხ. ა. ლაბუჩიძე.

გადაჭრით ავამაღლოთ პარტიული მუშაობის დონე

ძ. თბილისის 26 კომისრის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე

მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ საკავშირო კ. პ. (ბ) მორიგი XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. ამ დიდმნიშვნელოვანმა მოვლენამ აღფრთოვანა მშრომელთა ფართო მასები ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვანნი არიან თავიანთ გადაწყვეტილებაში—პარტიის ყრილობა აღნიშნონ ახალი წარმატებებით კომუნისტური მშენებლობის ფრონტზე.

ამ დღეებში გამართულ 26 კომისრის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე სიტყვებით გამოსული დელეგატები დიდი აღფრთოვანებით აღნიშნავდნენ, რომ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი სსბჭოთა კავშირის განვითარების 1951-1955 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მძლავრ აღმავლობას, სახავენ გრანდიოზულ პერსპექტივებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი შენობის ასაგებად.

26 კომისრის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შეიარაღებული არიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით და ამხანაგ სტალინის ისტორიული მითითებებით, გადადგეს ნაბიჯები პარტიული მუშაობის გასაუმჯობესებლად, გააძლიერეს სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა. ამან გამოხატულება ჰპოვა რაიონის საწარმოთა მიერ სახელმწიფო დავალების შესრულებაში. მიმდინარე წლის 7 თვის გეგმა მათ 100,3 პროცენტით შეასრულეს, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა—100 პროცენტით.

რაიონის მოწინავე საწარმოთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ორთაჭალჰესის მშენებლობა. მშენებელთა კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 104,2 პროცენტით შეასრულა, 9,5 პროცენტით შეამცირა მშენებლობის თვითღირებულება, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაზარდა 43 პროცენტით. მშენებლობაზე ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ორთაჭალჰესის მშენებლობის კოლექტივი ამ უკანასკნელი ხუთი კვარტალის განმავლობაში ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს თბილისის მაკარონის ფაბრიკა, რომელმაც პროდუქციის გამოშვების 7 თვის გეგმა 118,7 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს 440 ათასი მანეთის ეკონომია მისცა. რაიონის მოწინავე საწარმოთა რიგებში არიან წისქვილკომბინატის, ზეთსახდელი ქარხნის, ქაღალდის ფაბრიკისა და სხვათა კოლექტივები.

ამის შესახებ ილაპარაკა თავის მოხსენებაში კონფერენციაზე 26 კომისრის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ა. ახვერდოვმა.

ამასთან, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, რაიონში ჯერ კიდევ ბევრია ჩამორჩენილი საწარმოები, რომლებიც სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ. განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ კერამიკული კომბინატი, საქჰიდროენერგომშენის ტრესტის სარემონტო-სამონტაჟო ქარხანა და სხვები.

აღნიშნა რა ეს ფაქტები, მომხსენებელმა ვერ ახსნა ამ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობის მიზეზები, თითქმის არაფერი თქვა იმაზე, თუ რატომ ვერ ახორციელებენ ისინი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებებს, რატომ ვერ ახამებენ პარტიულ მუშაობას სამეურნეო საქმიანობასთან და რატომ არ ეხმარება მათ რაიკომი.

მოხსენებაში გაშუქებული იყო პარტიული მუშაობის საკითხები. როგორც სუსტი მუშაობის ფაქტი დასახელებულ იქნა ის მდგომარეობა, რომ რაიონის 192 პირველადი პარტორგანიზაციიდან საანგარიშო პერიოდში პარტიაში მიღება არ ყოფილა 141 ორგანიზაციაში.

პარტიული განათლების სისტემაში გასულ სასწავლო წელს მიღწეულ წარმატებებთან ერთად ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. ყველა კომუნისტი ჩაბმული არ იყო პარტიულ სწავლებაში, ბევრმა მსმენელმა სწავლა მიატოვა. ზოგიერთმა პოლიტსკოლამ და წრემ სასწავლო პროგრამა ვერ ამოსწურა.

მოხსენების გამო კამათში პირველი გამოვიდა ამიერკავკასიის რკინიგზის ნავთლუღის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ს. აბულაძე. კვანძის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები, არის შემთხვევები, როცა არ სრულდება ვაგონების დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმები, არის ვაგონების გაცდენის შემთხვევები. ამ ნაკლოვანებებს იწვევს ის, რომ სუსტია შრომის დისციპლინა, მისი განმტკიცებისათვის არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან კვანძის პარტიული ორგანიზაციები. ამხ. აბულაძემ გააკრიტიკა აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პოლიტგანყოფილება პირველადი პარტორგანიზაციებისადმი სუსტი დახმარებისათვის და სამმართველოს სამეურნეო ხელმძღვანელები იმისათვის, რომ ისინი ბრძანებებს წერენ, მაგრამ შემდეგ არ ზრუნავენ მათი შესრულებისათვის.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მეორე რაიონის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ვ. კუზნაშვილმა გააკრიტიკა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება იმისათვის, რომ იგი ხშირად ვერ უზრუნველყოფს პირველადს ორგანიზაციებს კვალიფიციური ლექტორებით.

საინტერესო იყო პურის № 2 ქარხნის ზეინკლის ამხ. გ. გრიქუროვის გამოსვლა.

— ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, —თქვა მან,—80-მდე კომუნისტია. ეს დიდი ძალაა. მაგრამ პარტბიუროს მას სათანადოდ ვერ იყენებს, არ აბამს ორგანიზაციულ მუშაობაში. ამიტომ არის, რომ ორგანიზაციაში სუსტად დგას შინაპარტიული მუშაობა. ფართოდ არ არის გაჩაღებული კრიტიკა და თვითკრიტიკა. საჭირო ყურადღება არ ეთმობა კომუნისტების აღზრდის ისეთ მძლავრ საშუალებას, როგორიც არის პარტიული კრების მომზადება და ჩატარება. ხშირად კრებებს მოუმზადებლად იწვევენ. კრებებზე სიტყვებით გამოდიან ერთი და იგივე ამხანაგები.

ქალაქის პირველი საავადმყოფოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ბ. ჩაჩხიანმა ძირითადად ილაპარაკა კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის საკითხებზე და სამართლიანად უსაყვედურა პარტიის რაიკომსა და კომკავშირის რაიკომს კომკავშირული ორგანიზაციებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის.

ცნობამ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ უდიდესი შრომითი აქტივობა გამოიწვია ორთაჭალჰესის მშენებელთა შორის. ცალკეული ბრიგადები ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. ამ შრომითი აქტივობის შესახებ მოუთხრო დელეგატებს ორთაჭალჰესის მშენებლობის უფროსმა ამხ. გ. ჩოგოვაძემ. მან ილაპარაკა აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევა მშენებლობის პარტიული ორგანიზაცია XIX ყრილობის დირექტივების პროექტის პოპულარიზაციისათვის, როგორ გაიშალა ამ ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა ი. შახრამანოვმა (ვაჟთა მე-40 საშუალო სკოლის დირექტორი), გ. სილაძემ, (სატრიკოტაჟო-საგალანტერეო ფაბრიკის დირექტორი), რ. ნიკოლაიშვილმა (ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი), გ. შარიქაძემ (პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი) და სხვებმა, სულ 16 კაცმა.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და დასახა სათანადო ღონისძიებანი; აირჩია რაიონული კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. აგრეთვე თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის მშობლიური სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხ. ლ. პ. ბერიას.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. გოშაძე, მეორე მდივნად—ამხ. ა. ახვერდოვი, მდივნად—ამხ. თ. მოსაშვილი.

გადაჭრით გავაძლიეროთ ჩაის ფოთლის კრეფისა

საბჭოთა მეურნეობებმა ჩამორჩენა უნდა დაძლიონ

ლაითურის საბჭოთა მეურნეობამ წელს 2.800 ტონა ჩაი უნდა მოკრიფოს. 25 აგვისტოსათვის მოკრეფილი იყო 1.977 ტონა — წლიური გეგმის 70,6 პროცენტი. ამავე რიცხვისათვის აგვისტოს გეგმა 39,8 პროცენტით იყო შესრულებული. მარტო სამ თვეში მეურნეობამ 815 ტონა ნედლეული დააკლო სახელმწიფოს. ყველაზე მეტად ჩამორჩა მეორე აგროგანყოფილება, რომელმაც 3 თვეში მრეწველობას 45 ტონით ნაკლები ფოთოლი ჩააბარა, ვიდრე გეგმით იყო ნავარაუდევი. ასევე მოუქნელად მუშაობენ აგროგანყოფილებები, რომლებსაც ვ. ქერქაძე და გ. ბერაძე ხელმძღვანელობენ.

ძლიერ ჩამორჩენილ ბრიგადები, რომლებსაც ლ. ბაქანიძე, პ. შავიშვილი, ბ. ჭანტურია, გ. უგრეხელიძე და ა. ფასიეიშვილი ხელმძღვანელობენ.

მეურნეობის კოლექტივი (დირექტორი ამხ. შ. გოგეშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ყალიჩავა) პარტიის XIX ყრილობის სახელობის სტახანოვურ ვახტზე დადგა და იკისრა 25 სექტემბრისათვის შეასრულოს ნვდლეულის დამზადების წლიური გეგმა. ვალდებულების განაღდებისათვის მუშობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს: 28 ტონის ნაცვლად დღეში 17-20 ტონა ფოთოლს კრეფენ. წლიური დავალების შესრულება საფრთხეშია.

ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია შრომის მოუწესრიგებლობა. აგროგანყოფილებები, ბრიგადები და მეჩაიეები ყოველდღიურ გეგმებს ვერ ასრულებენ. საბჭოთა მეურნეობამ ვერ უზრუნველყო განუწყვეტელი კრეფა. და ივნისში დიდი რაოდენობით დაკარგა ფოთოლი. არასასურველი მდგომარეობაა ამყამადაც: — ყოველდღიურად 6-7 ტონა ჩაი იკარგება. ასეთი დიდი დანაკარგები იმიტომ არის, რომ მეურნეობას საკმაო მუშახელი არა ჰყავს. ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს. საჭიროა ფოთლის კრეფაზე გამოვიყენოთ საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშა.

უამინდობის დროს შრომის ნაყოფიერების დაცემას იწვევს ის, რომ მეჩაიეებს საწვიმრები არა აქვთ. მაგალითად, 24 აგვისტოს წვიმა იყო და მეურნეობაში მხოლოდ 4 ტონა ფოთოლი მოიკრიფა. წვიმის დროს მკრეფავებისათვის საჭიროა ბრეზენტის პაიჭები. ამ მხრივ მეურნეობას სუსტად ეხმარება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, რომელმაც ლაითურში ნაცვლად 1.600-ისა 600 საწვიმარი გაგზავნა, 1.600 წყვილი ბრეზენტის საჭირო პაიჭებიდან კი ერთი წყვილიც არ გაუგზავნია.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე ფოთლის კრეფა ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ამხ. მ. გვარჯალაძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. დობორჯგინიძე). აქ წელს 1.480 ტონა ფოთოლი უნდა მოკრიფონ. 26 აგვისტოსათვის მოკრეფილი იყო 1.121 ტონა—გეგმის 75,8 პროცენტი. 3 თვეში მეურნეობამ ქვეყანას 198 ტონა ნედლეული დააკლო. ჩამორჩენა აგვისტოშიც გრძელდება. 26 რიცხვისათვის თვიური დავალება 43,3 პროცენტით არის შესრულებული.

არის ფოთლის დანაკარგები, სამუშაო დღე დაუტვირთავია. მრომაში არ მონაწილეობს მეურნეობის ყველა მუშა. მაგალითად, 26 აგვისტოს მეოთხე აგროგანყოფილების იმ ბრიგადაში, რომელსაც ა. ჩხიკვაძე ხელმძღვანელობს, დილის 7 საათსა და 30 წუთზე 16 მუშიდან სამუშაოზე 10 კაცი იყო, ხოლო მეხუთე აგრორაიონის იმ ბრიგადაში, რომელსაც გ. მსხალაძე ხელმძღვანელობს, დილის 8 საათზე ნაცვლად 34 კაცისა, სამუშაოზე 21 კაცი იყო გამოსული.

ლაითურისა და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ ეხმარებიან მეურნეობების დირექციებს ჩაის კრეფის უკეთ მოწყობაში. მართალია, ისინი ხშირად იხილავენ ჩაის ფოთლის კრეფის საკითხებს, დადგენილებებსაც იღებენ, მაგრამ სუსტად იბრძვიან მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ამჟამად ჩაის ფოთოლი უხვად არის შემოსული. მეურნეობების დირექციების, პარტიული ორგანიზაციებისა და მუშათა კომიტეტების გადაუდებელი ამოცანაა არ დაუშვან ფოთლის დანაკარგები, მთელი ძალებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით უზრუნველყონ ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსწორება.

ვ. ჯაყელი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის ამ გადამწყვეტ დღეებში აქტიურად შრომობენ კომკავშირელი მკრეფავები. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): კომკავშირელები ნუნუ და ნანული ახვლედიანები, ჟ. ჩიჯავაძე და მ. გიორგაძე ჩაის კრეფაზე.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა

მახარაძელთა მიმართვის პასუხად

ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა მახარაძელთა მიმართვის პასუხად იკისრა წელს გამოუშვას მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი.

ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად აქ კარგად იბრძვიან. ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების ივლისის გეგმა 106,3 პროცენტით შეასრულეს, მათ შორის ექსტრასი — 407,6 პროცენტით, უმაღლესი ხარისხისა — 114,8 პროცენტით, პირველი ხარისხისა — 150 პროცენტით.

ენერგიულად შრომობენ აგრეთვე აგვისტოს გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ფაბრიკამ სახელმწიფოს უკვე მისცა 228 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 7 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 3 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას შეხვდეს ახალი საწარმოო მაჩვენებლებით.

გ. პაპავა.

სანიმუშოდ მოვაწყოთ რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენები

საკუთარი წარმოების პურით ჩვენი რესპუბლიკის უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემდგომი გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორების გამოცდილების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფართოდ დანერგვას. მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარების, პროპაგანდისა და დანერგვის საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ კარგად მოწყობილ რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს.

ამიტომ რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. გასულ წლებში რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენების ორგანიზაციის საქმეში ჩვენს მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებდა. რესპუბლიკის მთელი რიგი რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობების განყოფილებებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენების უდიდესი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვაში. ამის გამო გასულ წელს საქართველოში მხოლოდ 23 რაიონმა მოაწყო გამოფენა. ამასთან ცუდად იყო დაყენებული მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა, თვალსაჩინოდ არ იყო ნაჩვენები სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მუშაობის ხერხები და მეთოდები, არ ეწყობოდა ექსკურსიები, ლექციები, საუბრები, სასოფლო-სამეურნეო კინოფილმების ჩვენება და ნოვატორთა გამოსვლები მათი მუშაობის შესახებ.

რაიონული გამოფენის მომზადებისათვის საჭიროა დროზე შევარჩიოთ საგამოფენო კომიტეტები, რომელთა მოვალეობაა გამოფენის მონაწილეთათვის პირობების შემუშავება. ამ პირობების გამოქვეყნება, ყველა საკითხის წარმატებით მომზადება. დიდი მნიშვნელობა აქვს გამოფენის მონაწილეთა და ექსპონატების დროზე შერჩევას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

ასევე მნიშვნელოვანია გამოფენაზე კულტურულ-მასობრივი მუშაობის მოწყობა, ლექციებისა და მოხსენებების, სოფლის მეურნეობის მოწინავეების, სოციალისტური შრომის გმირების გამოსვლების ორგანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო კინოფილმების ჩვენებისა და მხატვრული თვითმოქმედი წრეების გამოსვლების მოწყობა.

საჭიროა შედგეს გამოფენის დათვალიერების გრაფიკი, მომზადდეს ექსკურსიის მძღოლთა კადრი.

მემცენარეობისა და მეცხოველეობის ექსპონატების ფართოდ ჩვენებისათვის სასურველია გამოფენები შემოდგომის თვეებში მოეწყოს, ესე იგი მაშინ, როცა უფრო ცნობილია სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები.

ჩვეულებრივად გამოფენები 5-10 დღის ხანგრძლივობით ეწყობა. რაიონულ გამოფენებზე ფართოდ საჩვენებლად შერჩეულ უნდა იქნან მეურნეობანი, საწარმოო ბრიგადები, რგოლები, მეცხოველეობის ფერმები და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, რომლებსაც რაიონში ყველაზე მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ, გამორჩევიან მუშაობის მაღალი კულტურით და ახალი მეთოდებით.

ნატურალური ექსპონატები უნდა უჩვენონ იმ მეურნეობებიდან და მოწინავეთა ნაკვეთებიდან, რომელთა მიღწევა და გამოცდილება დემონსტრირებული იქნება გამოფენაზე. ექსპონატების სახით უნდა შეირჩეს: მარცვლოვანი, პარკოსანი კულტურების ძნები, ჰერბარიუმები, თესლი, ბოსტნეული, ხილი.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ექსპონატს თან უნდა ახლდეს დოკუმენტები, რომლებშიც მოცემული იქნება ექსპონატის დაწვრილებითი დახასიათება, ნაკვეთის საალღრიცხოდება, უხვი მოსავლის მოყვანის ხერხები და მეთოდები.

გამოფენაზე საჩვენებლად წინასწარ უნდა შევარჩიოთ ისეთი ცხოველები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია მეცხოველეობის აღმავლობის დარგში რაიონის მიღწევების დამაჯერებლად დემონსტრირება. წინასწარ უნდა შევადგინოთ გამოფენის თემატური გეგმაც, მასში განსაკუთრებით აღინიშნება მოწინავე აგროზოოტექნიკური ღონისძიებანი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პავილიონების როგორც გარეგანი, ისე შინაგანი გაფორმება. ყოველი სტენდი, რომელიც მოწინავე მეურნეობის ან ნოვატორების მუშაობის მეთოდებს ასახავს, სრულ წარმოდგენას უნდა იძლეოდეს ამ საკითხებზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული მოწინავე კოლმეურნეობის, ბრიგადის, რგოლის და სოფლის მეურნეობის ნოვატორის გამოცდილებაზე საპროპაგანდო ფურცლების გამოშვებას.

რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობების განყოფილებებმა და პროპაგანდის ჯგუფებმა უნდა უზრუნველყონ გამოფენის ორგანიზებული წესით დათვალიერება, მოაწყონ კოლმეურნეთა ექსკურსიები, ექსკურსანტებმა კი ადგილზე დაბრუნებისას კოლმეურნეთა ფართო მასებს გააცნონ გამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილება. თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მეცხოველეობის ფერმაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში უნდა დაისახოს პრაქტიკული ღონისძიებანი ამ მიღწევების წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის.

რაიონულ და სოლქო გამოფენებზე უნდა შევაჯამოთ სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები, საფუძვლიანად ვუჩვენოთ მოწინავე საბჭოთა აირობიოლოგიური მეცნიერების მიღწევები, უხვი მოსავლის ოსტატთა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის მებრძოლთა გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

ფართოდ გავშალოთ მუშაობა საოლქო და რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენების საუკეთესოდ მოწყობისათვის.

დ. დოლიძე,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს უფროსის მოადგილე, დოცენტი.

უცხოეთის გამოხმაურება საკავშირო კ.პ.(ბ) მომავალი XIX ყრილობის გამო

ინგლისი

ლონდონი, 25 აგვისტო. (საკადესი). ყველა გაზეთი დიდ ყურადღებას აქცევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ, სსრ კავშირის განვითარების 1951-55 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტს.

საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალი XIX ყრილობისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიაში გაზეთი „დეილი უორკერი“ წერს: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი ყრილობა და ახალი ხუთწლიანი გეგმა დიდ ინტერესს აღუძრავენ მსოფლიოს ყველა ადამიანს, რომელიც პოლიტიკაში ერკვევა. თვით საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ უდიდეს ინტერესს გამოიჩენენ მუშები და გლეხები, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, კოლონიების განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლები, კაპიტალისტური ქვეყნების მუშები და გლეხები, რომლებიც განაგრძობენ განთავისუფლებისათვის ბრძოლას“.

„ახალი ხუთწლიანი გეგმა, — განაგრძობს გაზეთი, — თვალსაჩინებს შემდგომ ნაბიჯებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადადგამენ კომუნიზმის გზაზე. ახალი გეგმის განსაკუთრებული ნიშანია სამომხმარებლო საქონლისა და სურსათის გამოშვების კოლოსალური გადიდება. ეს სრულიადაც არ არის სამხედრო ეკონომიკის ორგანიზაციისა და ამ ეკონომიკიდან გამომდინარე ხალხის ცხოვრების დონის დაქვითვების გეგმა. ომს შეუძლია მხოლოდ შეაფერხოს ხალხების წინსვლა აყვავებისაკენ, და საბჭოთა კავშირს არა სურს ომი“.

სტატიაში „ინგლისის ვაჭრობის განვითარების სერიოზული შანსი“ „დეილი უორკერი“ წერს: „საბჭოთა ხალხისათვის წარდგენილი ახალი ხუთწლიანი გეგმა ინგლისს უქადის იმის ბრწყინვალე შესაძლებლობას, რომ განთავისუფლდეს ეკონომიური მონობისაგან, რომელშიც ოვი შეერთებულ შტატებს ჰყავთ“.

„მანჩესტერ გარდიანი“ ეხება სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს და სარედაქციო სტატიაში წერს:

„ამ დირექტივების მთავარი შინაარსი ის ფაქტია, რომ ოთხი წლის ომის და ხუთი წლის რეკონსტრუქციის შემდეგ საბჭოთა კავშირი მზად არის მეტი ენერგია მოახმაროს სამომხმარებლო საქონლის წარმოებას და ცხოვრების დონის ამაღლებას... არ არსებობს მიზეზები დავუეჭვდეთ, რომ რუსეთმა ომის შემდეგ უდიდესი ნახტომი გააკეთა სამრეწველო წარმოებაში...

გეგმის პროექტის ყველაზე საინტერესო ნაწილია ამის დამტკიცება, რომ მეტად გადიდდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვება. ხუთ წელიწადში მარცვლეულის კულტურების მოსავალი უნდა გადიდდეს 50 პროცენტით, ხოლო ხორცის პროდუქტების წარმოება თითქმის ერთიორად“.

დასასრულ გაზეთი წერს: „უეჭველია, საბჭოთა ხელმძღვანელები იმედს ამყარებენ თავიანთ დიდ საირიგაციო პროექტებსა და სოფლის მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე“.

რეიტერის საგენტომ გამოაქვეყნა ვრცელი ცნობა, რომელშიც მოჰყავს ციფრები, თუ როგორ უნდა ვიზარდოს საბჭოთა კავშირში წარმოება მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, აგრეთვე მოჰყავს პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის შინაარსი.

ბურჟუაზიული პრესა მომავალი ყრილობის შესახებ ცნობებთან ერთად აქვეყნებს თავისი კომენტატორების ერთობლივ საწინააღმდეგო ვარაუდებს.

საფრანგეთი

პარიზი, 25 აგვისტო. (საკადესი). პარიზის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას ამა წლის 5 ოქტომბერს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

ბურჟუაზიული გაზეთი „მონდი“, აქვეყნებს რა ცნობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ, აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მოწვევას უცხოელ მიმომხილველთა უმრავლესობა ათასებს როგორც „მეტად მნიშვნელოვან მოვლენას“.

გაზეთ „ლუმანიტეს“ დაწვრილებით მოყავს ყრილობის დოკუმენტები. გაზეთის მოწონებე სტატია მიძღვნილია მომავალი ყრილობისადმი. აღნიშნავს რა, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლების გრანდიოზული პროგრამაა, გაზეთი წერს:

„რა საოცარი განსხვავებაა კაპიტალისტურ მსოფლიოსა, რომელიც დღითიდღე სულ უფრო მეტად ეფლობა სიღატაკესა და ქაოსში, და საბჭოთა კავშირის განუწყვეტელ განვითარებას შორის, საბჭოთა კავშირისა, რომელიც წარმატებიდან წარმატებისაკენ მიდის კომუნიზმის გზით, კაცობრიობის საუკუნოვან მისწრაფებათა განხორციელების, სამართლიანი საზოგადოების, ძმობის საზოგადოების გზით, სადაც არა თუ შეუძლებელია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არამედ სადაც სოუზვე საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას ყოველი ადამიანი მისი მოთხოვნილების თანახმად!

ვის შეუძლია გულწრფელად შეიტანოს ეჭვი ასეთი ქვეყნისა და მისი მთავრობის მშვიდობისადმი მისწრაფებაში? საბჭოთა კავშირს არა მარტო სურს მშვიდობა, არამედ მას სჯერა, რომ შესაძლებელია მშვიდობას გადარჩენა...“

გაზეთი „ლიბერასიონი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო წარმოების 70 პროცენტით გადიდებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის 35 პროცენტით ამაღლებას და საბჭოთა ხალხის კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

ბურჟუაზიული გაზეთებიც დიდ ყურადღებას აქცევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ყრილობის მოწვევას „უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მასშტაბით“.

კათოლიკურ გაზეთ „კრუას“, როგორც სხვა გაზეთებს, მოჰყავს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დამახასიათებელი ციფრობრივი ცნობები და წერს, რომ „ცნობა ოქტომბერში სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობის მოწვევის შესახებ... დასავლეთ სახელმწიფოთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს“.

ბურჟუაზიული გაზეთების კომენტარებს თან ახლავთ უხეში ანტისაბჭოთა ჭორები ომის შესახებ, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმა თითქოს მიზნად ისახავს „სამხედრო ეკონომიკის გაძლიერებას“ და სხვ.

იტალია

რომი, 25 აგვისტო. (საკადესი). გაზეთები ფართოდ აშუქებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. სტატიაში „ლენინურ-სტალინური მოძღვრების გამარჯვება“ გაზეთი „უნიტა“ წერს, რომ „ახალი ხუთწლიანი გეგმა ისტორიული ეტაპი იქნება კომუნიზმის გზაზე“. გაზეთი „პაეზე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მე-5 ხუთწლიანი გეგმა სსრ კავშირის ხალხთა წინაშე სახავს „პროგრესის დიდებულ პერსპექტივას“. გაზეთი „ავანტი“, აქვეყნებს რა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის გადაწყვეტილებაზე უცხოეთის გამოხმაურების მიმოხილვას, აღნიშნავს, რომ „ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები შიშმა შეიპყრო პროგრესისა და მშვიდობის ამ გრანდიოზული პროგრამის წინაშე, რომელსაც შეიცავს სსრ კავშირის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა“. ამ გეგმის მიღება, წერს გაზეთი „ავანტი“, იქნება „ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც ადასტურებს სსრ კავშირის, როგორც საყოველთაო მშვიდობის ბურჯის, როლს“.

„1955 წელს,—წერს გაზეთი „უნიტა“,—სამრეწველო წარმოება საბჭოთა კავშირში ერთისამად მატულობს ომამდელ დონესთან შედარებით და ამავე დროს სისტემატურად მცირდება ფასები და განუწყვეტლივ მაღლდება მშრომელთა ცხოვრების დონე, რომელიც დღეს უკვე მნიშვნელოვნად აღემატება ომამდელ დონეს და იმატებს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ოდენობით.

რომელ კაპიტალისტურ ქვეყანას აქვს უნარი მოახდინოს ისეთი შეჯამება, როგორიც შეუძლია ბოლშევიკურ პარტიას თავის XIX ყრილობაზე? „ატლანტიკისა“ და „დასავლეთის“ პროპაგანდისტებმა არ იციან, რა უპასუხონ ამ კითხვაზე. სწორედ ამით აიხსნება სისულელეთა, აბსურდულ ვარაუდთა და ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრთა ის ნაკადი, რომლის საშუალებითაც ისინი ცდილობენ აამღვრიონ წყალი და დაუშალონ კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს ამ მოვლენის დიადი ისტორიული მნიშვნელობა

გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა ავრეთვე იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილის პიეტრო სეჯის სტატია, რომელიც მიეძღვნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

ერთმანეთის ადარებს რა საბჭოთა ქვეყნის მდგომარეობას, რომელიც ემზადება ომისათვის, რომ განახორციელოს ახალი ხუთწლიანი გეგმა, რაც „ნიშნავს დიდ ნახტომს წინ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისაკენ“, და კაპიტალისტური მსოფლიოს მდგომარეობას, სეჯა წერს: „კაპიტალისტურ საზოგადოებაში ანარქიისა და ინდივიდუალიზმის ბატონობა და გაბატონებული ჯგუფების გამოდეენება მოგებისადმი ხელს უშლის ნაციონალური ეკონომიკის აღმავლობის ყოველგვარი გეგმის განხორციელებას“. აქ არა მარტო შეუძლებელი 5 წლით განვეკვრეტა, არამედ ცნობილიც არ არის, თუ რა საწარმოები დაიკეტება შემდეგ კვირაში და რამდენი ასეული ათასი ახალი უმუშევარი იქნება შემდეგ თვეში. 2,5 მილიონ იტალიელ უმუშევარს — ეჭჩაში გამოგდებულ მეტალურგებს, მწვავე კრიზისს მსხვერპლ ფეიერებს, აგრარიების მიერ უხელფასოდ დატოვებულ მოჯამაგირეებს,— ყველას, ვინც იბრძვის ხელფასისათვის, ბოლშევიკური პარტიის ეს ყრილობა და ახალი ხუთწლიანი გეგმა მიჩნეთ თავიანთ იდეალურ მისწრაფებათა განხორციელებად: ისარგებლონ საკუთარი შრომის ნაყოფით, კულტურისა და კეთილდღეობის ნაყოფით, რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი განაწილების შედეგად, ბოლის და ბოლის, იცხოვრონ, როგორც თავისუფალმა ადამიანებმა, რომლებმაც არ იციან ექსპლოატაცია და გაჭირვება“.

ავსტრია

ვენა, 25 აგვისტო. (საკადესი). ვენის პრესა დიდ ადგილს უთმობს საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალ XIX ყრილობასთან დაკავშირებულ სტატიებსა და ცნობებს. სათაურით „ისტორიული მნიშვნელობის ყრილობა“ გაზეთმა „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმმე“ გამოაქვეყნა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევისადმი მიძღვნილი მოწინავე სტატია. „როგორც მეკობრეს, ისე მტრებს,—წერს გაზეთი,—საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევა უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენად მიაჩნათ. ეს ყრილობა იქნება ჩვენი დროის მეცნიერების უდიდესი კორიფეებისა და სახელმწიფო მოღვაწეების — ლენინისა და სტალინის პარტიის ყრილობა, პარტიისა, რომელმაც ისტორიაში პირველად დედამიწის ერთ მეექვსედზე ააშენა სოციალისტური საზოგადოება“.

ეზება რა სსრ კავშირის განვითარების პერსპექტივებს, რომლებსაც თავიანთ გამოხატულება ჰპოვეს პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტით სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, გაზეთი წერს:

„მაშინ როცა ატლანტიკის ბლოკის ქვეყნებში განუწყვეტლივ მცირდება მოხმარება, მწვავდება კრიზისის ნიშნები და მატულობს უმუშევრობა, სსრ კავშირის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო წარმოების დონის ამაღლებას 70 პროცენტით. მაშინ როცა დასავლეთში ტექნიკა ჩაყენებულია შეიარაღების სამსახურში, სსრ კავშირის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საწარმოო პროცესების ფართო ავტომატიზაციის განხორციელებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში“.

არა მარტო ავსტრიელი კომუნისტები, წერს დასასრულ გაზეთი, არა მარტო ყველა ქვეყნის მუშათა კლასი, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობა დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალყურს ყრილობისათვის მზადებას. ეს იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ყრილობა, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ხსნისათვის გადამწყვეტი ბრძოლის ყრილობა. ამიტომ კეთილი ნების ადამიანებმა იციან, რომ XIX ყრილობის დადგენილებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ბედისათვის.

გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის განცხადება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის გამო

ბერლინი, 27 აგვისტო. (საკადესი). ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ გამოაქვეყნა განცხადება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის გამო.

„საბჭოთა კავშირმა თავისი წინადადებით, რომ არაუგვიანეს ოქტომბრისა მოწვეულ იქნას ოთხი სა ელმწიფოს თათბირი გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით, — ნათქვამია განცხადებაში,—კვლავ გვიჩვენა თავი გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობრად.

ყოველი გერმანელი, ვისთვისაც ძვირფასია მისი სამშობლო, მხურვალედ მიესალმება ამ წინადადებას, რადგან იგი გამოხატავს ყველაზე სანუკვარ მის სურვილს. ოთხი სახელმწიფოს თათბირისათვის წარმოდგენილი დღის წესრიგი: საზავო ხელშეკრულების მომზადების შესახებ, სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის შესახებ. სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობისა და ამ არჩევნების მოწყობისათვის გერმანიაში პირობების არსებობის შემმოწმებელი მეტისის შესახებ, საოკუპაციო ჯარების გაყვანის ვადის შესახებ—ისეთ საკითხებს მოიცავს, რომლებიც დღეს ყველა გერმანელს აღელვებენ, როგორც ერისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე საკითხები.

გერმანელი ხალხის მოწოდებას—დაიდოს საზავო ხელშეკრულება და გაერთიანებულ იქნას საშმობლო, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოთქვა, დასავლეთის სახელმწიფოებმა უპასუხეს „საერთო“ ხელშეკრულების და მუხლით საგანგებო წესების შესახებ. ამავე დროს საბჭოთა კავშირმა უპასუხა წინადადებით საზავო ხელშეკრულების დადებისა და თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ.

დასავლეთის სახელმწიფოები და მათთან ერთად ადენაუერი თავს იძერენენ, ცდილობენ ყოველ საშუალებით განახორციელონ ახალგაზრდა გერმანელთა რეკრუტირება დაქირავებულ არმიაში და გაურკვეველი ვადით გადადონ საზავო ხელშეკრულების დადება.

მაგრამ გერმანელი ხალხი ვეღარ მოითმენს ვერავითარ გაჭიანურებას და მტკიცედ მოითხოვს დაწესდეს მოლაპარაკების ვადა საბჭოთა კავშირის წინადადების შესაბამისად.

საბჭოთა კავშირი ყველა სახელმწიფოზე მეტად სცემს პატივს გერმანელი ერის თვითგამორკვევის უფლებას და მის ღირსებას. იგი წინადადებას იძლევა საზავო ხელშეკრულების დასადებად გამართულ თათბირში მონაწილეობა მიიღონ გერმანელთა წარმომადგენლებმა, და მოითხოვს, რათა თვით გერმანელებმა შეამოწმონ არჩევნების პირობების არსებობა.

დასავლეთის სახელმწიფოები კი, პირიქით, შეურაცხყოფენ გერმანელ ხალხს, რადგან მათ სურთ თავს მოაბრეონ მას ისეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი შემმოწმებელი კომისია, როგორიც არის პაუსტანი და ბრაზილია, რომელთაც არასოდეს არ დაუშვიათ საკუთარ ქვეყნებში დემოკრატიული არჩევნები.

ახლა პატრიოტებმა დასავლეთ გერმანიაში უნდა იკმარონ ინიციატივა! ახლა გერმანელმა ხალხმა უნდა ისარგებლოს თავისი ეროვნული თვითგამორკვევის უფლებით!

პირველი ამოცანა ის არის, რომ ყოველგვარ პირობებში ხელი შეკუშალოთ „საერთო“ ხელშეკრულების რატიფიკაციას. „საერთო“ ხელშეკრულების შემდეგი წაკითხვა ფედერალურ პარლამენტში აღარ უნდა მოხდეს! პირიქით, ფედერალური პარლამენტის დეპუტატებს ვალია დაუყოვნებლივ დაუპირონ მხარი საბჭოთა ნოტაში გამოთქმულ ინიციატივას და მიაღწიონ შეთანხმებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატასთან სრულიად გერმანიის არჩევნების მოსაწყობად წინაპირობების შექმნის შესახებ. ეს არის პირველი რამ, რაც ჩვენ, გერმანელებმა, უნდა გავაკეთოთ, რათა დავაჩქაროთ საზავო ხელშეკრულების დადება.

ეს უნდა ვაიძულოთ ფედერალურ პარლამენტს. საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებასთან დაკავშირებით ფედერალური პარლამენტის თვითეულმა დეპუტატმა უნდა შეიგნოს თავისი პასუხისმგებლობა. ეს უნდა განუმარტოთ ფედერალური პარლამენტის დეპუტატებს მოსახლეობის ყველა ფენის ავტორიტეტიანი პირების განცხადებათა და, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კოლექტივების, დიდ საწარმოთა და პროფკავშირთა წარმომადგენლების განცხადებათა გზით.

გერმანელებო, გამოთქვით თქვენი ნება მიტინგებზე ფედერალური პარლამენტის წევრებისათვის დელეგაციების გაგზავნის გზით, დემონსტრაციებზე, ყოველგვარი ფორმის მასობრივი მოქმედების საშუალებით, რომლებიც გამოხატავენ ხალხის ნებას—დაიდოს საზავო ხელშეკრულება და უარყოფილ იქნას „საერთო“ ხელშეკრულება.

ხალხის გამოკითხვის დროს 8 მილიონზე მეტად მეტმა კაცმა დასავლეთ გერმანიაში უკვე გამოთქვა აზრი საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადების სასარგებლოდ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა და ფუნქციონერებმა (აქტივისტებმა. რედ.) მრავალ კრებასა და დელეგატთა კონფერენციაზე უკვე გამოთქვეს მოთხოვნა დაიდოს საზავო ხელშეკრულება, მოეწყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები და გაერთიანებულ იქნას გერმანია. ამას შეეფერება საბჭოთა კავშირის წინადადება. ეს არის საფუძველი, რომელზეც კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ მიაღწიონ ურთიერთგაგებას და ერთად იბრძოლონ თავიანთ მოთხოვნათა განსახორციელებლად.

მოქმედების ერთიანობის დამყარება აუცილებელი წინაპირობა მიიღონ გერმანელთა ფაშიზმდგენლებმა, და მოითხოვს, რათა თვით გერმანელებმა შეამოწმონ არჩევნების პირობების არსებობა.

დასავლეთის სახელმწიფოები კი, პირიქით, შეურაცხყოფენ გერმანელ ხალხს, რადგან მათ სურთ თავს მოაბრეონ მას ისეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი შემმოწმებელი კომისია, როგორიც არის პაუსტანი და ბრაზილია, რომელთაც არასოდეს არ დაუშვიათ საკუთარ ქვეყნებში დემოკრატიული არჩევნები.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 27 აგვისტო. (საკადესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 27. აგვისტოს ცნობაში ნათქვამია:

სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით განვლილ დღეს თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ფრონტის ცალკეულ უბნებზე. ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა.

დღეს განთიადისას ამერიკელთა რამდენიმე ათეული „ბ-29“ თვითმფრინავი თითქმის ორ საათს ბომბავდა ფხენიანის საცხოვრებელ უბნებს. მოკლული და დაჭრილია ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები.

თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ამერიკის ავიაცია კვლავ ბარბაროსულად ბომბავს ჩრდილოეთ კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს

ფხენიანი, 27 აგვისტო. (საკადესი). ამერიკის ავიაცია კვლავ ბარბაროსულად ბომბავს კორეის ქალაქებსა და სოფლებს. 26 აგვისტოს ღამით „მფრინავი სიმაგრის“ ტიპის ათობით ბომბდამშენმა კვლავ დაბომბა ფხენიანის დასავლეთი რაიონი და ასობით ბომბი ჩამოყარა ქალაქის მშვიდობიან უბნებში. ეს ამერიკის ბომბდამშენთა მეოთხე გაფთრებული თავდასხმაა აგვისტოში ქალაქის დასავლეთ ნაწილზე, სადაც, როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო ოფიციალურად იუწყებოდა, არავითარი სამხედრო ობიექტი არ არსებობს, რადგან ეს არის მჭიდროდ დასახლებული საცხოვრებელი რაიონი, ბაზრების, დუქნების, წიგნებისა და სხვა კიოსკების რაიონი. გენერალ კლარკის ბრძანებით დაწყებული თანმიმდევრული ბარბაროსული დაბომბვით ფხენიანის ეს რაიონი გადაქცეულია ნანგრევთა გროვად და ორმოებად. 26 აგვისტოს ღამით თავდასხმის დროს აქ დაიღუპა ბევრი მცხოვრები.

იაბონიაში განლაგებული აეროდრომებიდან მოფრენილი ამერიკის „მფრინავი სიმაგრეები“, წერს გაზეთი „ნიდონ სინბუნი“, კვლავ დანაშაულებრივად ბომბავენ უფვე ნანგრევებად ქცეულ კორეის ქალაქებს და ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებთ. მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები ამაოდ იმედოვნებენ თავისი ბოროტმოქმედებით დააჩოქონ კორეელი ხალხი.

ფხენიანი, 27 აგვისტო. (საკადესი). დღეს დღისით ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაბომბეს და ტყვიამფრქვევი დაუშინეს ფხენიანის მდადამოების მშვიდობიან სოფლებს. დანგრეულია ბევრი სახლი, არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ბომბებმა დიდი ზარალი მიაყენა ბრინჯის ყანებს.

ამერიკელთა სამხედრო ხროვა კვლავ მხეცურად უსწორდება სამხედრო ტყვეებს

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, ამერიკის მე-8 არმიის შტაბმა დაგეგმებით გამოაცხადა, რომ ამ თვეში კიდევ ხუთჯერ ჩაახშეს ძალით „არეულობა“ სამხედრო ტყვეების ბანაკებში. აგვისტოს განმავლობაში მათ მოკლეს 4 და დაჭრეს 64 სამხედრო ტყვე.

X საჭადრაკო ოლიმპიადაზე

ჰელსინკი, 27 აგვისტო. (საკადესი). დღეს მე-7 ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ ფინეთის გუნდს. გროსმაისტერ კერესის წინააღმდეგ გამოვიდა ოსტატი ბეკი, მისოლოვის წინააღმდეგ—კაილა, ბრონშტეინის წინააღმდეგ—სალო და გელერის წინააღმდეგ—ფრედი.

შესვენებამდე გამარჯვებით დამთავრდა გროსმაისტერ გელერის პარტია ფრედთან.

გროსმაისტერმა კერესმა შესვენების წინ მიაღწია ხელსაყრელ დამთავრებას და გამარჯვების კარგ შანსებს ინარჩუნებს.

მეტად მედგრად იცავდა თავს კაილა პარტიაში სმისლოვთან. საბჭოთა გროსმაისტერმა შერჩა მხოლოდ პოზიციის მინიმალური უპირატესობა.

ბრონშტეინ-სალოს პარტიაში კონტროლს წინ საბჭოთა გროსმაისტერი, რომელსაც დროის დიდი ნაკლებობა ჰქონდა, არაზუსტად თამაშობდა და შესაძლებლობა მისცა მოწინააღმდეგეს ხელსაყრელად შეეწორა ხარისხი პაიუში. ამ პარტიაში მოსალოდნელია დაძაბული ბრძოლა.

ჰელსინკი, 27 აგვისტო. (საკადესი). დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების დროს საბჭოთა მოჭადრაკეებმა ბრწყინვალედ გამოიყენეს თავიანთი შანსები. გროსმაისტერმა კერესმა ზუსტი თამაშით გაანაღდა თავისი უპირატესობა ოსტატ ბეკის წინაშე და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

გროსმაისტერმა ბრონშტეინმა თამაშის განახლებისას მეტად გონებამახვილური გეგმა განახორციელა, რის შედეგადაც მოახერხა მიეღო მოწინააღმდეგეზე იერიშის მიტანის შესაძლებლობა. ფინელმა ოსტატმა სალომ დაკარგა ფიგურა და წაგო პარტია.

კაილა-სმისლოვის პარტია შვიდი საათის თამაშის შემდეგ კვლავ გადადგა.

არგენტინელმა მოჭადრაკეებმა დამარცხეს დასავლეთ გერმანიის მოჭადრაკეები ანგარიშით $2^1/_2 : 1^1/_2$. პირველ დაფაზე გროსმაისტერი ნაიდორფი დამარცხა ოსტატმა ტეშნერმა.

ინგლისელი ფეხბურთელების ჯგუფი ოლიმპიადაზე

ლონდონი, 27 აგვისტო. (საკადესი). ინგლისელ ფეხბურთელთა ჯგუფი ოლიმპიადაზე ჰელსინკიში ჩავიდა ინგლისელ ფეხბურთელთა ჯგუფი,